*დანართი №2*

*აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის*

*დასკვნა*

*"ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო*
*პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე*
*სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია*

შეფასების თარიღი:

29/11/2022 – 30/11/2022

დასკვნის პროექტის

წარდგენის თარიღი:

16 დეკემბერი

თბილისი

2022

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ............................ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ....................................... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..................................... 12

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ............................................................................. 12

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ............................................................................................ 43

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .......................... 57

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ...................................................... 64

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები .................................... 81

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 203851545 |
| დაწესებულების სახე | სსიპ |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ემზარ კახიძე, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო სილაგაძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირმა ქურდაძე, სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მირანდა ნონიკაშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 |
|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | **ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია** | **ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია** |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის ბაკალავრი | ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0222 ისტორია და არქეოლოგია | 0222 ისტორია და არქეოლოგია |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი | ახალი |

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაცია/რესტავრაციის **კლასტერული** (საბაკალავრო, სამაგისტრო) **საგანმანათლებლო პროგრამა** თავისი არსით ინტერდისციპლინარულია, რომელიც სპეციალიზაციის საგნებთან ერთად მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებს, ხელოვნების ისტორიასა და თეორიას. პროგრამა სტუდენტს ძირეულად ასწავლის კონსერვაციის დარგის პრინციპებს, მიდგომებს, თანამედროვე თეორიებს და ზრუნავს სტუდენტის პროფესიული ეთიკის გამომუშავებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე. პროგრამა ორიენტირებულია კონსერვატორ-რესტავრატორების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ მოძრავი და უძრავი ძეგლების ღირებულების დადგენას, საკონსერვაციო კვლევების ჩატარებას, შესაბამისი საკონსერვაციო–სარესტავრაციო საჭიროებების დაგეგმვას და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ჩარევების გამოყენებით ძეგლების ფიზიკურ სტაბილიზაციას/მკურნალობას ანუ კონსერვაცია–რესტავრაციას.

კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ექსკლუზიურია; საქართველოში რესტავრაციის სფეროში არსად ხორციელდება ამ სფეროში აკრედიტებული პროგრამები.

რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამამ თსსა–ში ფუნქციონირება დაიწყო 2005 წლიდან, როდესაც რესტავრაციის და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებები ერთ ფაკულტეტად გაერთიანდა. საბაკალავრო პროგრამამ (სახვითი ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია/კონსერვაცია) ბოლოს აკრედიტაცია გაიარა 21.10.2011–ში (გადაწყვეტილება N160).

ფუნქციონირებს სამი სამაგისტრო პროგრამა, რომლებიც სამ სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს: სახვითი ახვითინირებს სამი სამაგისტრო პროგრამა, რომლებიც სამ სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს:რესტავრაციის; სახვითი ახვითინირებს სამი სამაგისტრო პროგრამა, რომლებიც სამ სხვადასხვა მიმართულებას მოიცავ და მცირე ცირეთინირებს სამი სამაგისტრო პროგრამა, რომლებიც სლოგიური ლითონი, მინა, კერამიკა). სამივე ამივეინირებს სამი სამაგისტრო პროგრამა, რომლებიც სლოგიური ლითონი, მინა,N325, N326, N327).

კლასტერში შემავალი საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამები სრულიად ახალია, თუმცა ისინი ამჟამად მოქმედი აკრედიტებული პროგრამების განვითარებას წარმოადგენს. მოხდა მიმართულების გაუმჯობესება და დამატება (კედლის

---

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მხატვრობის, ქაღალდის რესტავრაციის, ქვისა და სხვა სამშენებლო მასალების რესტავრაციის და სხვ.). შედეგად, საბაკალავრო საფეხურზე რესტავრაციის 7 სხვადასხვა მიმართულება *(ხელოვნების ნიმუშები შესრულებული – 1. ხეზე, 2. ტილოზე, 3. ქაღალდზე; მცირე ხელოვნების ნიმუშები –4.მინა/კერამიკა, 5.ლითონი; 6.კედლის მხატვრობა; 7. ქვა და სხვა სამშენებლო მასალისგან შემდგარი ძეგლები)*, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე ეს მიმართულებები ახალ პროგრამაში სამ მოდულად არის დაყოფილი: *ხელოვნების ნიმუშები ხისა და ტილოს საფუძველზე; მცირე ხელოვნების ნიმუშები: მინა, კერამიკა, ლითონი; კედლის მხატვრობა; ქვა და სხვა სამშენებლო მასალები).*

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა, შეისწავლა სსიპ სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. 29 ნოემბერს შეხვედრები ჩატარდა ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, უსდ-ისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; მოხდა პროგრამის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ინტერვიუირება; 30 ნოემბერს ჯგუფმა მოინახულა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: რესტავრაციის ცენტრი და იქ განლაგებული ლაბორატორიები, მუზეუმი და გალერეა, აგრეთვე ბიბლიოთეკა და სასწავლო თუ სამუშაო ოთახები. სამუშაო დღის ბოლოს ჯგუფმა გასაუბრებების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტების მიერ განხორციელდა ხუთივე სტანდარტის შეფასება. შეფასდა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში. დადგინდა, რომ ისინი შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. აღსანიშნავია, რომ პროგრამები პრინციპში შეესაბამება უმაღლესი განათლების I და II საფეხურების დარგობრივ მახასიათებლებს; სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს, განათლებისა და სწავლების ლიბერალურ პრინციპებს, ორიენტირებულია ეროვნული და

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური და კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე, ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე, დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგში საყოველთაოდ აღიარებული საბაზო ცოდნისა და უნარების პროფესიონალურად გამოყენება - ესაა საბაზო კვლევითი უნარები, სწავლების ინტერკულტურული მხარე, ძეგლებისა და არტეფაქტების რესტავრაციის ტექნიკა, თუ თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისად კვლევა, მომიჯნავე, დამხმარე დისციპლინებისა და ციფრული ტექნოლოგიების საფუძვლების ცოდნა, აგრეთვე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. შესაბამისად, სტანდარებისა და ქვესტანდარტების მიხედვით, პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან პროგრამა; 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან პროგრამა; 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან პროგრამა; 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან პროგრამა; 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

აუცილებელია საბაკალავრო და სამაგისტრო ბიუჯეტები წარმოდგენილი იქნეს ცალკ-ცალკე პროგრამაზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებით;

- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი; ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, **პროგრამა 2 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA)** შეიმჩნევა გარკვეული დისბალანსი პროგრამის იმ არჩევით კურსებში, რომლებიც ხელოვნების ისტორიას შეეხება. სწავლის შედეგებზე სრულად გასასვლელად უმჯობესია ხელოვნების ისტორიის სფეროს შემსწავლელი სალექციო კურსები შეძლებისდაგვარად ფარავდეს მინიმუმ იმ ეპოქებისა და მიმდინარეობების ხელოვნებას, რომელთა ნიმუშები შეიძლება გახდეს მომავალი რესტავრატორის საქმიანობის ობიექტი.

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის ჩართულობით დაიგეგმოს შეხვედრები აკადემიაში სტუდენტებთან და მათ ხელმძღვანელებთან აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური წერის სტილის შესახებ;

- სასურველია, სილაბუსების შეფასების სისტემაში ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებაზე გათვალისწინებული 10 ქულა სტუდენტის ნებისმიერ აქტივობას (სასემინარო, პრაქტიკული, საველე, თეორიული ცოდნის პრეზენტაცია და სხვ.) დაემატოს;

- სასურველია ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის პროგრამის მიმართულებით დაინერგოს და გაღრმავდეს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორული თანამშრომლობა, რაც წაახალისებს ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერებას და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობას;

- სასურველია გაძლიერდეს და წახალისდეს ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის პროგრამის სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლები გაეცნენ "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის დასკვნის პროექტს და მათ მიერ ა/წ 27 იანვარს მოწერილ ოფიციალურ წერილის (# 16/117) თანახმად მთლიანად დაეთანხმნენ ექსპერტთა რეკომენდაციებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია" ერთადერთია საქართველოში, რომელიც ამზადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროზე ორიენტირებულ სპეციალისტებს რესტავრაციის და კონსერვაციის დარგში. პროგრამა ორიენტირებულია, მისცეს კურსდამთავრებულს, პროგრამის საფეხურის შესაბამისად, საბაზისო და გაღმავებული ცოდნა სხვადასხვა ეპოქაში და ტექნოლოგიით და მასალით დამზადებული ხელოვნების ნიმუშის სპეციფიკაზე, დაზიანებების ხასიათზე, მათ დიაგნოსტიკაზე, აღმოფხვრის მეთოდებზე, კონსერვაციისა და სარესტავრაციო ჩარევების თანამედროვე ხედვაზე, მათი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ ბაზაზე, პროფესიულ ეთიკაზე და სხვ.; გარდა ამისა, პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს ცოდნას ხელოვნების ისტორიის სფეროში, რაც მნიშვნელოვანია რესტავრაციისა და კონსერვაციის ობიექტის რაობის, მხატვრული ღირებულების განსაზღვრის, მისი ატრიბუციის და სხვ. ხელოვნებათმცოდნეობითი ხასიათის კვლევისათვის. სტუდენტები ეუფლებიან ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებსა და

მათ გამოყენებით ფორმებს, რომლებიც აუცილებელია ქვის, ლითონის, ხის, კერამიკის, ქაღალდის, ფერადი პიგმენტების თუ სხვ. ობიექტების რესტავრაციისა და კონსერვაციისათვის (ქიმია, მინერალოგია, ბიოლოგია).
კულტურული მემკვირდეობის დაცვა საქართველოს ეკონომიკური და კულტურული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, ამდენად სპეციალობით დასაქმებული კურსდამთავრებულები, რომლებიც პროგრამის გამოშვების საკმაოდ დიდი პროცენტს წარმოადგენენ, უშუალოდ არიან ჩართული ამ სფეროში. პროგრამა შეესაბამება და ასახავს დაწესებულების მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ განვითარებას, ასევე შეესაბამება სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნებს.

## აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA)

პროგრამა 1-ის მიზნები ითვალისწინებს სწავლების სფეროს, საფეხურს და მიმართულია სტუდენტისათვის იმ აუცილებელი ცოდნისა და უნარების გადაცემა-გამომუშავებაზე, რომელიც შეესაბამება ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია/კონსერვაციის სპეციალისტის თანამედროვე სტანდარტებს. ასეთ სპეციალისტებს დიდი წვლილი მიუძღვით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, მით უმეტეს, რომ პროგრამა საქართველოს მასშტაბით უნიკალურს წარმოადგენს (ერთადერთია, რომელიც ამზადებს მსგავსი პროფილის სპეციალისტებს). პროგრამა ორიენტირებულია მომაზადოს სპეცილაისტები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნების ნიმუშის ატურბიციას, დათარიღებას, ეპოქალური და დარგობრივი სპეციფიკის განსაზღვრას, ტექნოლოგიური მხარის ანალიზს, მდგომარეობის შესაფებას, დაზიანებათა დიაგნოსტიკას და მათი გამომწვევი მიზეზების განსაზღვრას, დაზიანებათა ლიკვიდაციის სტრატეგიისა და კონკრეტული ჩარევების დაგეგმვას და განხორციელებას; ფლობენ სპეციფიკურ უნარებს, რომლებიც მათ ძეგლის მდგომარეობის სტაბილიზაციის, საკონსერვაციო ღონისძიებების და სხვ. გატარების საშუალებას მისცემს. კურსდამთავრებული ფლობს ასევე საერთაშორის ქარტიებითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ უნარებს და აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას. პროგრამა 1-ის მიზანი ძირითადად ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტს მისცეს პროფესიასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის საბაზისო ცოდნა (ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა-ტექნოლოგიის, დაზიანების ტიპების, დამაზიანებელი ფაქტორების, დოკუმენტაციის ფორმების შედგენის, საკონსერვაციო ჩარევების, კონსერვაციის სფეროსთან დაკავშირებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების) შესახებ. პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტს გააცნოს კონსერვაცია-რესტავრაცია, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება, სხვადასხვა ეპოქების ხელოვნების ნიმუშთა სპეციფიკა, რომელიც ასევე მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებს, ისტორიასა და თეორიას. პროგრამა სტუდენტს ძირეულად ასწავლის კონსერვაციის დარგის პრინციპებს, მიდგომებს, თანამედროვე თეორიებს, ასევე ხელს უწყობს პასუხისმგებლობის, ეთიკის და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების

გამომუშავებას. სტუდენტი ყველა პრაქტიკულ საკონსერვაციო სამუშაოს ასრულებს ხელმძღვანელის ზედამხედველობით და დახმარებით. პროგრამა 1-ზე ისწავლება შვიდი მიმართულება (ხელოვნების ნიმუშები შესრულებული – 1. ხეზე, 2. ტილოზე, 3. ქაღალდზე; მცირე ხელოვნების ნიმუშები – 4.მინა/კერამიკა, 5.ლითონი; 6.კედლის მხატვრობა; 7. ქვა და სხვა სამშენებლო მასალისგან შემდგარი ძეგლები), რაშიც სტუდენტი თანაბრად იღებს საბაზისო ცოდნას.

რესტავრაციის მრავალფეროვანი მიმართულების და მათ შორის არსებითი სხვაობის გამო პროგრამა 1-ზე თავდაპირველად იგრძნობოდა გარკვეული მიმართულებების ნაკლები წილი: მაგ., მიმართულების სპეციალისტების ნაკლებობისა და გარკვეულ შემთხვევებში (მაგ., ქაღალდი, ქვის რესტავრაცია და სხვ.) არარსებობის გამოც, ყველა მიმართულებით სწავლება თანაბრად ვერ ხორციელდებოდა. ბოლო პერიოდში მოხერხდა გარკვეული რაოდენობის აკადემიური პერსონალის მომზადება/გადამზადება თანამედროვე დასავლური სტანდარტების შესაბამისად. ამისათვის, რამდენიმე კურსდამთავრებული გაგზავნილ იქნა მსოფლიოს წამყვან სარესტავრაციო საგანმანათლებლო ცენტრებში სხვადასხვა მიმართულების შესასწავლად, მაგ., კედლის მხატვრობის რესტავრაცია/კონსერვაციის სპეციალისტებმა მაგისტრატურის საფეხურზე განათლება მიიღეს ლონდონის კურტოს უნივესტიტეტსა და სამხრეთ შვეიცარიის გამოყენებითი მეცნიერების და ხელოვნების უნივერსიტეტში; ქვის რესტავრაციის სპეციალისტების გადამზადება მოხდა უცხოელი ექსპერტების დახმარებით ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მიღებული გამოცდილებით და სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის ერთობლივი ძალისხმევით. ასევე, ქაღალდის რესტავრაცია შეისწავლეს ფლორენციის ხელოვნებისა და რესტავრაციის ინსტიტუტში. ეს უკანასკნელი მიმართულება, როგორც აღნიშნეს ასევე ინტერვიუებზე დამსაქმებლებმაც, საკმაოდ მოთხოვნადია დღეს შრომის ბაზარზე.

პროგრამა 1-ის მიზნები მკაფიოდაა ფორმულირებული და მიღწევადია პროგრამის შინაარსიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, რეალისტურია ასევე შესაბამისი ცოდნის და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე გათვალისწინებული დრო და შიანაარსობრივი ბალანსი ცალკეულ კურსებს შორის. ყოველივე ეს შეესაბამება სწავლების საფეხურს და მასში ასახულია ის ძირითადი უნარები და თეორიული ცოდნა, რომელიც უნდა მიიღოს კურსდამთავრებულმა. პროგრამა შეესაბამება ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, ტრადიციებს და სტრატეგიას, ასევე მორგებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის თავისებურებებსა და მოთხოვნებზე.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA )

პროგრამა 2 შემუშავებულია ძირითადად პროგრამა 1-თან ბმაში და მისი განვითარების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს, თუმცა გათვალისწინებულია ასევე სხვა სფეროში საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისთავის. პროგრამა 2 სამი მოდულისაგან შედგება: (1 – ხელოვნების ნიმუშები ხისა და ტილოს საფუძველზე; 2 – მცირე ხელოვნების ნიმუშები: მინა, კერამიკა, ლითონი; 3 – კედლის მხატვრობა; ქვა და სხვა სამშენებლო მასალები). სტუდენტი იღებს გაღმავებულ პროფესიულ ცოდნას მისთვის სასურველი მიმართულებით. სამივე მოდულიდან ნებისმიერის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაიღრმავოს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნა, როგორც მასალების ტექნოლოგიის, ასევე მათი კონსერვაციის თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით, სამივე მოდულზე თანაბრად განაწილებული კრედიტებისა და შემუშვებული სასწავლო კურსების მეშვეობით. სამივე მოდულს აქვს საერთო სასწავლო საგნებიც, რომლებიც აუციელებლია ნებისმიერი მიმართულებისათვის. სტუდენტებს, რომლებსაც საბაკალავრო პროგრამაში არ მიუღიათ საბაზისო აუცილებელი ცოდნა კონსერვაციისათვის საჭირო რომელიმე კონკრეტულ დარგში, მაგისტრატურის საფეხურზე ეძლევათ საშუალება არჩევით საგნებად გაიარონ ისინი.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს გაუღრმავოს ცოდნა კონსერვაცია-რესტავრაციაში, როგორც ინტერდისციპლინურ მეცნიერებაში, ასევე, საფუძვლიანად შეასწავლოს მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის პრინციპები, მიდგომები, მსოფლიო სტანდარტები, თანამედროვე თეორიები, ახალი ტექონოლოგიები და პროფესიული ეთიკის ნორმები.პროგრამა 2-ის სტუდენტის, პროგრამა 1-ის სტუდენტისაგან განსხვავებით, შეუძლია გარკვეული საკონსერვაციო სამუშაოების ჩაატაროს დამოუკიდებლად ან გუნდურად. პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონსერვატორ-რესტავრატორი, რომელსაც კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი პრაქტიკული უნარები და თეორიული ცოდნა გააჩნია, ფლობს დაზიანების გამომწვევი მიზეზების, კვლევა-დოკუმენტაციისა და საკონსერვაციო ჩარევების ცოდნას, ასევე გამოიმუშავებს თითოეული ამ მიმართულებისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

პროგრამა 2-ის მიზნები მკაფიოდაა ფორმულირებული და მიღწევადია პროგრამის შინაარსიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, უმეტესად რეალისტურია ასევე შესაბამისი ცოდნის და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე გათვალისწინებული დრო და შინაარსობრივი ბალანსი ცალკეულ კურსებს შორის. ყოველივე ეს შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს და მასში ასახულია ის ძირითადი უნარები და თეორიული ცოდნა, რომელიც უნდა მიიღოს კურსდამთავრებულმა. პროგრამა შეესაბამება ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, ტრადიციებს და სტრატეგიას, ასევე მორგებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის თავისებურებებსა და მოთხოვნებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და სილაბუსები; თვითშეფასების ანგარიში; თსსა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესი; დაწესებულების ვებ-გვერდი; შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, მათთან ინტერვიუები; ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები -** წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები -** არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 3** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 4** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 5** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 6** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 7** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 8** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება** [6]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთ ან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ თეორიულ ცოდნას და უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის სრული კურსის გავლისას. სტუდენტი იღებს თეორიულ საბაზისო ცოდნას და საბაკალავრო საფეხურზე იძენს პრაქტიკულ უნარებს 7 სხვადასხვა მიმართულებით

[6] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

(ტილოსა და ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების, მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა, ლითონი), ქაღალდის, კედლის მხატვრობის, ქვისა და სხვა სამშენებლო მასალების რესტავრაცია-კონსერვაცია) თანაბარ დონეზე, ასევე საწყის დონეზე ეუფლება კონსერვაციასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებს (ხელოვნების ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, მინერალოგია-პეტროგრაფია). ამის შედეგად სტუდენტი იღებს საბაზისო ცოდნას ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშის შექმნის ტექნოლოგიურ თავისებურებებზე, აანალიზებს დაზიანებების და ნაკლოვანებების ხასიათს და ხარისხს, აფასებს გარემოპირობებს და სხვ., შეუძლია შეიმუშავოს გეგმა ამ დაზიანებების აღმოფხვრის ან დაზიანების პროცესის შეჩერების მიზნით, დაგეგმოს საჭირო ღონისძიებები და ჩარევები, შეუძლია ხელმძღვანელის ზედამხედველობითა და მისი დახმარებით საბაზისო საკონსერვაციო კლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება.

სწავლების სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტი იღრმავებს და ავითარებას ბაკალავრიატის პროგრამაზე მიღებულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც ამჯერად მიმართულია შესაბამისი მოდულის სპეციფიკაზე: უფრო საფუძვლიანად ითვისებს ხელოვნების კონკრეტული დარგის (ფერწერა - მონუმენტური და დაზგური (ბათქაშის, ხისა და ტილოს საფუძველი), მცირე ფორმის ნიმუშები, რომლებიც კლასიფიცირებულია მასალათა და ტექნოლოგიების შესაბამისად (მაგ., ლითონის, მინის, ქაღალდის, კერამიკის ნაკეთობები), ქვის რესტავრაცია-კონსერვაცია და სხვ.). ეუფლება ამა თუ იმ დარგის ძირითად და სიღრმისეულ სარესტავრაციო პრინციპებს, მიდგომებს და თანამედროვე თეორიებს. ატარებს ღრმა კველევებსა და ნიმუშის მდგომარეობის, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასებას. განსაზღვრავს შესაბამისი ღონისძიებების საჭიროებას და ჩარევის ხარისხს, ახდენს ნიმუშის ფიზიკურ სტაბილიზაციას/მკურნალობას. აქვს სამეცნიერო კვლევის უნარები (ძეგლის მხატვრული თავისებურებების განსაზღვრა, ისტორიული კონტექსტის ანალიზი, სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევის ნათლად გააზრებული მიზანი და სხვ.). ფლობს პროფესიული ეთიკის ნორმებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, შესაბამისი არგუმენტაციის მოყვანის და პრეზენტაციის, განზოგადებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებელი შეფასების უნარებს.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA)

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ თეორიულ ცოდნას და უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის სრული კურსის გავლისას. სტუდენტი იღებს თეორიულ საბაზისო ცოდნას და საბაკალავრო საფეხურზე იძენს პრაქტიკულ უნარებს 7 სხვადასხვა მიმართულებით

(ტილოსა და ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების, მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა, ლითონი), ქაღალდის, კედლის მხატვრობის, ქვისა და სხვა სამშენებლო მასალების რესტავრაცია-კონსერვაცია) თანაბარ დონეზე, ასევე საწყის დონეზე ეუფლება კონსერვაციასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებს (ხელოვნების ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, მინერალოგია-პეტროგრაფია). ამის შედეგად სტუდენტი იღებს საბაზისო ცოდნას ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშის შექმნის ტექნოლოგიურ თავისებურებებზე, აანალიზებს დაზიანებების და ნაკლოვანებების ხასიათს და ხარისხს, აფასებს გარემოპირობებს და სხვ., შეუძლია შეიმუშავოს გეგმა ამ დაზიანებების აღმოფხვრის ან დაზიანების პროცესის შეჩერების შესახებ, დაგეგმოს საჭირო ღონისძიებები და ჩარევები, შეუძლია ხელმძღვანელის ზედამხედველობითა და მისი დახმარებით საბაზისო საკონსერვაციო კლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება.

ცოდნა და გაცნობიერება: სტუდენტი ფლობს კონსერვაცია-რესტავრაციის ძირითად პრინციპებს და და თეორიებს, აცნობიერებს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ამ ნორმებით ხელმძღვანელობს პრაქტიკული საკონსერვაციო-სარესტავრაციო და თეორიული სამუშაოების დროს, ფლობს ცოდნას საკონსერვაციო, პრევენციული, პასიური და პირდაპირი ჩარევების ეტაპებისა და მეთოდების შესახებ, იცნობს ხეზე, ტილოზე და ქაღალდზე შესრულებული ნამუშევრების, მცირე ხელოვნების ნიმუშების - მინის, კერამიკისა და ლითონის, კედლის მხატვრობის, ქვისა და სხვა სამშენებლო მასალისგან შემდგარი ძეგლებისა და ნიმუშების მასალასა და ტექნიკა-ტექნოლოგიას,შეუძლია განსაზღვროს ნიმუშის დაზიანებების და დაზიანებათა გამომწვევი ძირითადი მიზეზები, იცის მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარების ეტაპები, მისი დამახასიათებელი სტილური ნიშნები, ფლობს მხატვრული ანალიზის პრინციპებსა და შეფასების კრიტერიუმებს, აქვს საბაზისო ცოდნა საბუნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, ბიოლოგია, მინერალოგია-პეტროგრაფია) და აცნობიერებს მათ მნიშვნელოვანებას საკონსერვაციო-სარესტავრაციო სფეროსთვის.

უნარები: აქვს უნარი ემპირიული დაკვირვებითა და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებით განსაზღვროს ხელოვნების ნიმუშის ძირითადი შემადგენელი მასალა და შესრულების ხელოვნების ნიმუშის დაცულობის მდგომარეობა, გამოავლინოს ძირითადი დაზიანებები, განსაზღვროს როგორც ხელოვნების ნიმუშის დაზიანების გამომწვევი ძირითადი მიზეზები (დასვას პრობლემა), ასევე განსაზღვროს და დაგეგმოს ადეკვატური საკონსერვაციო ღონისძიებები, შუძლია დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს გრაფიკულ, ვიზუალურ (ფოტო) და ტექსტურ ფორმებს. აქვს ზეპირი კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარები, შეუძლია დაამუშაოს საარქივო მასალა და პროფესიული ლიტერატურა, ასევე გააკეთოს ხელოვნების ნიმუშის სტილური, მხატვრული ანალიზი და გამოიტანოს ადეკვატური დასკვნები.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ხელოვნების ნიმუშების დაცვის საქმეში, საკონსერვაციო საქმიანობას უდგება

კეთილსინდისიერად, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, შეუძლია ხელმძღვანელის ზედამხედველობით განახორციელოს ხელოვნების ნიმუშთა საბაზისო კვლევები და პრაქტიკული საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაო, შეუძლია ვიზუალური დაკვირვებები და გარკვეული საბაზისო ჩარევები განახორციელოს, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფთან ერთად.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA)

პროგრამა 2-ს საფეხურზე სტუდენტი იღრმავებს და ავითარებას ბაკალავრიატის პროგრამაზე მიღებულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, რომლეც ამჯერად მიმართულია შესაბამისი მოდულის სპეციფიკაზე: უფრო საფუძვლიანად ითვისებს ხელოვნების კონკრეტული დარგის (ფერწერა - მონუმენტური და დაზგური (ბათქაშის, ხისა და ტილოს საფუძველი), მცირე ფორმის ნიმუშები, რომლებიც კლასიფიცირებულია მასალათა და ტექნოლოგიების შესაბამისად (მაგ., ლითონის, მინის, ქაღალდის, კერამიკის ნაკეთობები), ქვის რესტავრაცია-კონსერვაცია და სხვ.). ეუფლება ამა თუ იმ დარგის ძირითად და სიღრმისეულ სარესტავრაციო პრინციპებს, მიდგომებს და თანამედროვე თეორიებს. ატარებს ღრმა კველევებსა და ნიმუშის მდგომარეობის, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასებას. განსაზღვრავს შესაბამისი ღონისძიებების საჭიროებას და ჩარევის ხარისხს, ახდენს ნიმუშის ფიზიკურ სტაბილიზაციას/მკურნალობას. აქვს სამეცნიერო კვლევის უნარები (ძეგლის მხატვრული თავისებურებების განსაზღვრა, ისტორიული კონტექსტის ანალიზი, სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევის ნათლად გააზრებული მიზანი და სხვ.). ფლობს პროფესიული ეთიკის ნორმებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, შესაბამისი არგუმენტაციის მოყვანის და პრეზენტაციის, განზოგადებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებელი შეფასების უნარებს.

ცოდნა და გაცნობიერება: სტუდენტი ფლობს გაღრმავებულ ცოდნას არჩეული მიმართულების/მოდულის კონსერვაცია-რესტავრაციის ძირითადი პრინციპების, მიდგომებისა და თეორიების, პროფესიული ეთიკის პრინციპების და ნორმების შესახებ და ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს თეორიული და პრაქტიკული საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დროს, იცის მის მიერ არჩეულ მოდულში შემავალი ხელოვნების ნიმუშების (ხისა და ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშები, მცირე ხელოვნების ნიმუშები - მინა, კერამიკა, ლითონი, კედლის მხატვრობა, ქვა და სხვა სამშენებლო მასალები) სპეციფიკა, აფასებს არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშის დაცულობის მდგომარეობას, განსაზღვრავს დაზიანებებს და დაზიანებათა გამომწვევ ძირითად მიზეზებს, ერკვევა კულტურული მემკვიდრეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხებში.

უნარები: აქვს უნარი სამეცნიერო მიდგომით, ემპირიული დაკვირვებითა და კომპლექსური ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებით განსაზღვროს მის

მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშის ძირითადი შემადგენელი მასალა და შესრულების ტექნიკა-ტექნოლოგია, დაცულობის ხარისხი, გამოავლინოს ძირითადი დაზიანებები, მათი ტიპები და სახეობები, განსაზღვროს როგორც მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშის დაზიანების გამომწვევი ძირითადი მიზეზები (დასვას პრობლემა), ასევე განსაზღვროს, დაგეგმოს და განახორციელოს ადეკვატური საკონსერვაციო ღონისძიებები, ინდივიდუალურად და ჯგუფურად აწარმოოს სრული საკონსერვაციო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს გრაფიკულ, ვიზუალურ (ფოტო) და ტექსტურ ფორმებს. ასევე შეუძლია ჩატარებული სამუშაოს, კომპლექსური დოკუმენტაციის ზეპირსიტყვიერი წარდგენა, პრეზენტაცია და შეუძლია კოლეგებთან მაღალპროფესიული კომუნიკაციის დამყარება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: სტუდენტი პასუხს აგებს ხელოვნების ნიმუშების დაცვა-შენარჩუნებაზე და საკონსერვაციო საქმიანობას უდგება კეთილსინდისიერად, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, შეუძლია სამეცნიერო ხელმძღვანელთან და/ან ინტერდისციპლინურ ჯგუფთან კოლაბორაციით განახორციელოს მის მიერ არჩეული მიმართულების/მოდულის ხელოვნების ნიმუშთა კომპლექსური კვლევები და დამოუკიდებლად შეასრულოს შედარებით რთული საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაო.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა; თანდართული სილაბუსები; პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ინტერვიუები დამსაქმებლებთან და შრომის ბაზრის ანალიზი; კურსდამთავრებულთა ინტერვიუები; დაწესებულების ვებ-გვერდი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ

შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)**ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში. სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა (მათ შორის შუალედური გამოცდის /გამოცდების) და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა. შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 30%+1; დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%+1; დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა; შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა; დადებით შეფასებად ითვლება: (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 ქულა და მეტი - სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა - სასწავლო კურსის ყველა კომპონენტების მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით) სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს; (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა - სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენ სსაგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას; (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა - სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების

ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვლელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას; (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა - სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობებს. უარყოფით შეფასებად ითვლება: (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით გამოცდაზე (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ 4 კომპონენტის საფუძველზე. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სილაბუსების მიხედვით; თსსა-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე, თუ მის მიერ გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობა კონკრეტულ სასწავლო საგანში 50% ან მეტია; შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წარმოადგენს ამ შეფასებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 30%, ხოლო დასკვნით შეფასებაში (გამოცდაში) მაქსიმალური ქულის 50% ს; იმ შემთხვევაში, თუ პლაგიატის ფაქტი დაფიქსირდა თსსა სტუდენტის ნაშრომში (შუალედური ან დასკვნითი გამოცდის მოცემულობა/დავალება), ის არ შეფასდება. სტუდენტს ეძლევა შუალედური ან დასკვნითი გამოცდის გადაბარების (დამატებით გამოცდაზე გასვლის) საშუალება; საკვალიფიკაციო ნაშრომის (საბაკალავრო ნაშრომის) შეფასება საბაკალვრო ნაშრომზე მუშაობა სამ ეტაპად ხორციელდება: 1. საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა და დამტკიცება; 2. შუალედური დაცვა; 3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა შუალედური დაცვა: ¬ დაცვაზე დაშვების წინაპირობაა შუალედურ დაცვაზე იმ დროისათვის შესრულებული სამუშაოს საჯაროდ/საბჭოს წინაშე წარდგენა: 1. მინიმუმ 5 გვერდიანი ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ (ტექსტი); 2. ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს საილუსტრაციო მასალას და ამ ეტაპისათვის ჩატარებული კვლევის ძირითად დებულებებსა და პრობლემებს. შუალედური დაცვა არ ფასდება ქულით. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა: საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი საგანგებო კომისიის წინაშე. სტუდენტი წარმოადგენს სადიპლომო ნაშრომს და ზეპირ პრეზენტაციას. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მოიცავს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების შეფასების სისტემას. ხელოვნების ნიმუშზე განხორციელებული პრაქტიკული სამუშაოების შემთხვევაში,

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიენიჭოს საბაკალავრო ნაშრომში წარმოდგენილ ფოტო, გრაფიკულ და სხვა სახის ვიზუალურ დოკუმენტაციას და ამ დოკუმენტაციის განმარტებით ტექსტს. ხელოვნების ნიმუშზე განხორციელებული ნებისმიერი პრაქტიკული სამუშაო უნდა იყოს მეთოდოლოგიურად ადეკვატურად დაგეგმილი, დასაბუთებული და კონკრეტული ნიმუშისთვის შესაბამისი მასალებითა და მეთოდებით განხორციელებული, რაც დასაბუთებული და დემონსტრირებული უნდა იყოს ნაშრომის ტექსტუალურ და ვიზუალურ ნაწილებში. 12 ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით: ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან შეფასება შეფასების კვალიფიკაცია 91% - 100% A. "ფრიადი" დადებითი 81% - 90% (B) "ძალიან კარგი " დადებითი 71%- 80% (C)) " კარგი" დადებითი 61% - 70% (D) "დამაკმაყოფილებელი" დადებითი 51% - 60% (E) "საკმარისი" დადებითი 41% - 50% (FX) " ვერ ჩააბარა" ეძლევა ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება უარყოფითი 0% - 40% (F) " ჩაიჭრა" კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

კრიტერიუმები ლოგიკური, თანმიმდევრული და გამჭვირვალეა. შეფასების პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლების პროცესსა და სპეციფიკას, შეიცავს მრავალფეროვან შეფასების მეთოდებს (პირდაპირი - თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა, და არაპირდაპირი - დასაქმების ან/და თვითდასაქმების მაჩვენებლები, დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულთა შეფასება, კარიერული წინსვლის მაჩვენებელი და სხვ.). წინასწარაა განისაზღვრული შედეგებთან მიმართებით სამიზნე ნიშნულები. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადარებს მიღწეულ შედეგებს წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან და ამზადებს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშს. ამგვარად იზომება სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების ძირითადი მექანიზმია მათი მიღწევების მონიტორინგი. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემები გროვდება და ანალიზდება ყოველი სემესტრის ბოლოს, ფასდება სტატისტიკა და სხვ., ფასდება აკადემიური მოსწრების დინამიკა, ხდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, ანალიზდება დასკვნით გამოცდაზე გასული და გამოუცხადებელი სტუდენტების რაოდენობა, დამატებით გამოცდაზე გასული სტუდენტების რაოდენობა, მიღებული შეფასების გასაჩივრების რაოდენობა. რეგულირებადია ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა: სწავლის მიზნების მიღწევადობა, მასალის მოცულობის რეალისტურობა და რელევანტურობა გამოყოფილ დროსთან (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული დროის მოცულობა), შეფასების ფორმების რელევანტურობა. აკადემიური მოსწრების შედეგები აისახება გაუსის სკალაზე. მიღებული შედეგები დარდება კმაყოფილების კვლევის ანალიზით მიღებულ შედეგებს. შეფასების შედეგებზე რეაგირება, ხარვეზების აღმოფხვრის პროცესი მოწმდება მომდევნო სემესტრში აკადემიური მოსწრების შეფასების ანალოგიური პროცესის

განხორციელებისას. შედეგები აისახება სილბუსების მოდიფიცირებულ ვერსიებში. შეფასების სისტემა გასაგები, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)[7]

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; თანდართული სილაბუსები; ინტერვიუები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან; სტუდენტების სადიპლომო ნაშრომები; სამიზნე ნიშნულები, კურიკულუმის რუკა, დაწესებულების ვებ-გვერდი.

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

[7] საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

სასურველია, სილაბუსების შეფასების სისტემაში ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებაზე გათვალისწინებული 10 ქულა სტუდენტის ნებისმიერ აქტივობას (სასემინარო, პრაქტიკული, საველე, თეორიული ცოდნის პრეზენტაცია და სხვ.) დაემატოს.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

- კლასტერში წარმოდგენილი ორი პროგრამა შექმნილია ბაზრის და კურსდამთავრებულების პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, განხორციელებულია ე.წ. SWOT ანალიზი, როგორც პროგრამის შექმნის მოსამზადებელი ეტაპი. შექმნილია პროგრამების განვითარების ხუთწლიანი გეგმა, სადაც განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობების პერიოდულობა. SWOT ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის და მიმართულების პრიორიტეტული სტრატეგიები: ერთობლივი გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის და მისი სტრატეგიული გეგმის შექმნის, ცვლილებების შეტანის, განხორციელების და განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ამდენად, პროგრამა შედგენილია დაწესებულების საგანმანათლებლო

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამების შინაარსი, რომელიც გათვლილია ერთმანეთთან ბმაზე (ცოდნის გაზრდისა და პრაქტიკული უნარების გაფართოვების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის მზარდი მოთხოვნების თვალსაზრისით), ამავე დროს, უზრუნველყოფს უკუკავშირასაც - საბაზისო ცოდნის იმ ხარვეზების შევსებას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს სხვა საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულს პროგრამა 2-ზე სწავლის დაწყებისას. ამდენად, ორივე პროგრამის შინაარსი ლოგიკური, თანმიმდევრულია, სტრუქტურა გამართულია, მკაფიოა და უზრუნველყოფს სწავლის ძირითადი შედეგების მიღწევას, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობშია პროგრამების სტრუქტურასა და შედეგებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA)

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, მოიცავს 240 კრედიტს და შედგება შემდეგი ბლოკებისაგან: სპეციალობის სავალდებულო საგნები – 170 ECTS - რომლებიც ემსახურებიან საკონსერვაციო სპეციალიზაციისთვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების შეძენას; შემოქმედებითი უნარების საგნებს – 10 ECTS - რომლებიც სპეციალობის სავალდებულო საგნებს ეხმარება სპეციალობისთვის საჭირო ხატვისა და ფერწერის უნარების განვითარებაში; არჩევით სპეცსაგნებს – 25 ECTS - რომლებიც სტუდენტს საგნის არჩევით საშუალებას აძლევს დამატებითი ცოდნა შეიძინოს საკონსერვაციო, სახელოვნებათმცოდნეო და სხვა კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ დარგებში (მაგალითად, პალეოგრაფია, საქართველოს ისტორია, თეატრის მხატვრობა და ა.შ); ზოგადსაუნივერსიტეტო (არჩევითი) საგნებს – 25 ECTS - რომელებიც კონსერვაციის სპეციალისტს საშუალებას აძლევს ზოგადი განათლება მიიღოს მისთვის სასურველ სფეროში (მაგალითად ფსიქოლოგია, ფილოსოფია, უცხო ენები, IT და ა.შ); საბაკალავრო ნაშრომი – 10 ECTS - რაც საბაკალავრო პროგრამაზე შესწავლილი მასალის/ცოდნის თავის მოყრასა და შესაბამისი უნარების გამოვლენას ემსახურება.

სპეციალობის სავალდებულო საგნები, დარგის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, სამ ძირითად მიმართულებად იყოფა: კონსერვაცია/რესტავრაციის საგნები - 115 ECTS, საბუნებისმეტყველო საგნები - 20 ECTS, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საგნები - 35 ECTS. განირჩევა სახვითი ხელოვნების ნიმუშების 7 მიმართულება, რომელთაც მაქსიმალურად თანაბრად აქვთ გადანაწილებული კონსერვაცია-რესტავრაციის თეორიული და პრაქტიკული საგნები ტექნოლოგიის, დაზიანებების, მათი კვლევისა და ჩარევების კუთხით: ხელოვნების ნიმუშები ხის საფუძველზე (12.5 კრედიტი), ხელოვნების ნიმუშები ტილოს საფუძველზე (12.5 კრედიტი), ხელოვნების ნიმუშები ქაღალდის საფუძველზე (12.5 კრედიტი), მცირე ხელოვნების ნიმუშები - მინა, კერამიკა (10 კრედიტი), მცირე ხელოვნების ნიმუშები -

ლითონი (10 კრედიტი), კედლის მხატვრობა (12.5 კრედიტი), ქვისა და სხვა სამშენებლო მასალები (12.5 კრედიტი). პროგრამას აქვს ასევე საერთო საგნების ჯგუფი/სასწავლო ბლოკი, როგორიცაა ხელოვნების ნიმუშის რეკონსტრუქციის პრინციპი და ტექნიკა, სხვადასხვა ჩარევის ანალიზი (12.5 კრედიტი). გარდა ამისა, გაძლიერებულია ყველა მიმართულებისთვის საჭირო საერთო თეორიული საგნებიც (ჯამში 20 კრედიტი) - შესავალი კონსერვაციაში (2.5 კრედიტი), კონსერვაციის ფილოსოფია (2.5 კრედიტი), პრევენციული კონსერვაცია (7.5 კრედიტი), კვლევა-დოკუმენტაციის საგნები (7.5 კრედიტი). აღნიშნული საგნების გავლის შედეგად სტუდენტს ეცოდინება კონსერვაცია-რესტავრაციის ძირითადი პრინციპები, მიდგომები (პრევენციული, პასიური და პირდაპირი/ ფიზიკური ჩარევების ძირითადი ეტაპები და მეთოდები) და თეორიები.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, პროგრამა უზრუნველყოფს საბოლოო მიზნის მიღწევას - სტუდენტს გააცნოს კონსერვაციის სფერო და მასში არსებული შვიდი ძირითადი მიმართულება, რათა მიღებული საბაზისო ცოდნით სტუდენტმა აარჩიოს მისთვის სასურველი სპეციალიზაცია.

## აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA)

პროგრამა 2-ის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი "დიპლომის დანართი".

პროგრამა ორიენტირებულია კონსერვაცია-რესტავრაციის, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერების წარმოჩენაზე, რაც, საკონსერვაციო სპეციფიკურ საგნებთან ერთად, მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებს, ხელოვნების ისტორიასა და თეორიას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს: სავალდებულო საფაკულტეტო საგნები – 20 ECTS, სპეციალობის / ძირითად სავალდებულო საგნები – 45 ECTS, არჩევითი სპეცსაგნები – 25 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS.

პროგრამა 2 შედგება სამი არჩევითი მოდულისაგან , რომლებიც წარმოადგენენ ყველა იმ მიმართულებას, რომლებიც პრიორიტეტია პროგრამისათვის და დეწესებულების მისიის, მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმისათვის: მოდული1: ხელოვნების ნიმუშები ხისა და ტილოს საფუძველზე; მოდული 2: მცირე ხელოვნების ნიმუშები (მინა, კერამიკა, ლითონი); მოდული 3: კედლის მხატვრობა, ქვა და სხვა სამშენებლო მასალები. სამივე მოდულში თანაბრად არის განაწილებული სასწავლო

კურსები.მათი სტრუქტურა შემდეგნაირია: მასალების ტექნიკა-ტექნოლოგია (5 კრედიტი), კონსერვაცია თეორია (10 კრედიტი), კონსერვაცია პრაქტიკა (15 კრედიტი). გარდა ამისა, სამივე მოდულისათვის საერთო სასწავლო კურსებია გამოყოფილი (15 კრედიტი). სპეციალობის საგნებში შემავალი სამივე მოდულისათვის საერთო სავალდებულო საგნებია ხელოვნების ნიმუშების კვლევის მეთოდები კონსერვაციაში – 5 ECTS და საკონსერვაციო მასალების ქიმია 1 და 2 – 10 ECTS (5+5).

სტუდენტს მოდულიდან ნებისმიერის არჩევის შემთხვევაში ეძლევა ასევე შესაძლებლობა, გაიღრმავოს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნა, როგორც მასალების ტექნოლოგიის, ასევე მათი კონსერვაციის თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით. სტუდენტებს, რომლებსაც ბაკალავრიატის საფეხურზე არ აქვთ მიღებული საბაზისო აუცილებელი ცოდნა კონსერვაციისათვის საჭირო ზოგიერთ სფეროში (მაგალითად: ქიმია კონსერვაიაში, ბიოლოგია კონსერვაციაში, მინერალოგია-პეტროლოგიის საფუძვლები რესტავრაცია-კონსერვაციაში და სხვ.), მაგისტრატურის საფეხურზე ეძლევათ საშუალება არჩევით საგნებად გაიარონ ისინი.

პროგრამაში პრაქტიკული ხასიათის კურსების გვერდით წარმოდგენილია საფაკულტეტო საგნები, რომლებიც სტუდენტს აძლევს ცოდნას სფეროში არსებულ თანამედროვე მიდგომებზე და უვითარებს  განზოგადების უნარს. სტუდენტს ასევე ეძლევა საშუალება ინგლისური ენის ცოდნის გასაღრმავებლად.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შეიმჩნევა გარკვეული დისბალანსი პროგრამის იმ არჩევით კურსებში, რომლებიც ხელოვნების ისტორიას შეეხება. ამ სფეროში სტუდენტს აქვს არჩევანი სამ სალექციო კურსს შორის (მართლმადიდებელი   საეკლესიო ხელოვნების იკონოგრაფია, ბიზანტიის სახვითი ხელოვნება, შუა საუკუნეების აღმოსავლეთქრისტიანული რელიეფური ქანდაკება), რომლებიც თავისი შინაარსით ყველა შუა საუკუნეების აღმოსავლურქრისტიანულ ხელოვნებას უკავშირდება. მაშინ როდესაც არაა წარმოდგენილი არც ერთი სალექციო კურსი, რომელიც შეეხება სხვა ეპოქების ხელოვნებას (მაგ., წინარექრისტიანულ ეპოქებს, მე-19 ან მე-20 საუკუნეების ხელოვნებას და სხვ.). ვფიქრობთ, ამ დისბალანსის დარეგულირება პროგრამის გაუმჯობესობას შეუწყობს ხელს. სწავლის შედეგებზე სრულად გასასვლელად უმჯობესია ხელოვნების ისტორიის სფეროს შემსწავლელი სალექციო კურსები შეძლებისდაგვარად ფარავდეს მინიმუმ იმ ეპოქების და მიმდინარეობის ხელოვნებას, რომელთა ნიმუშები შეიძლება გახდეს მომავალი რესტავრატორის საქმიანობის ობიექტი (მაგ., წინარექრისტიანული ხელოვნების ნიმუშები - ნეოლითის, ბრინჯაოს თუ ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა, მე-19 ან მე-20 საუკუნის დაზგური ფერწერის თუ სხვ, ნიმუშები, ისლამური ეპოქის დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები  და სხვ.).

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამები თანდართული სილაბუსებით; სწავლის შედეგების რუკა; დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ინტერვიუები; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; დაწესებულების ვებ-გვერდი

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შეიმჩნევა გარკვეული დისბალანსი სამაგისტრო პროგრამის იმ არჩევით კურსებში, რომლებიც

ხელოვნების ისტორიას შეეხება. სწავლის შედეგებზე სრულად გასასვლელად უმჯობესია ხელოვნების ისტორიის სფეროს შემსწავლელი სალექციო კურსები შეძლებისდაგვარად ფარავდეს მინიმუმ იმ ეპოქებისა და მიმდინარეობების ხელოვნებას, რომელთა ნიმუშები შეიძლება გახდეს მომავალი რესტავრატორის საქმიანობის ობიექტი.

**რჩევ(ებ)ი:**

……………

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტებისა და ასევე, საკონტაქტო და არასაკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების რაოდენობა სტანდარტის კომპონენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს დასახულ მიზნებსა და შედეგებზე გასვლას. კურსების შედეგების უზრუნველყოფას განაპირობებს ასევე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, მოღვაწეობის არეალი გამოცდილება როგორც დარგის სპეციფიკის, ასევე პედაგოგიკის სფეროში. სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტის მიღწევების ობიექტურ და ადეკვატურ შეფასებას როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების თვალსაზრისით. დარგობრივი სპექტრის მრავალფეროვნება, რომელიც ასახულია სასწავლო კურსებში, ძირითადად ფარავს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და რესტავრაციისა და კონსერვაციის სფეროს სპეციალისტის კომპეტენციებს. შემუშავებულია პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი, რომელშიც ჩართულია ბაზრის კვლევისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, ასევე სტუდენტები და კურსდამთავრებულებს გამოკითხვის ანკეტების მონაცემები. არსებობს რესურსები დაწესებულების ბიბლიოთეკაში და ასევე რესტავრაციის ფაკულტეტის ბიბლოთეკაში წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურის და ელექტრონული სასწავლო მასალის სახით. სტუდენტებს აქვთ წვდომა შემდეგ ბაზებზე: Elsevier - Scopus (https://www.scopus.com/home.uri) , Elsevier - ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/), Education Resources Information Center (https://eric.ed.gov/), Social Science Research Network (https://www.ssrn.com/index.cfm/en/), Bielefeld Academic Search Engine (https://www.base-search.net/), Jstor (https://www.jstor.org/), EIFL (https://eifl.remotexs.xyz/user/login), JURN (http://www.jurn.org), Academic Research Sharing Platform ACADEMIA (https://www.academia.edu/), Perlego (www.perlego.com)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA)**

პროგრამა 1-ის უმეტესი ნაწილი, (170 კრედიტი) ეთმობა სპეციალობის სავალდებულო საგნებს, რომლებიც ემსახურება საკონსერვაციო სპეციალიზაციისათვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების შეძენას. ესენია N1 შესავალი კონსერვაციაში, N2 კონსერვაციის ფილოსოფია, N3-4 პრევენციული კონსერვაცია, N5 გარემო პირობები და მისი მონიტორინგი, N6-8 კვლევა-დოკუმენტაცია, N38 ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციაში აღდგენა - განახლების და რეკონსტრუქციის პრობლემატიკა, პრინციპები და ტექნიკა, N41 სარესტავრაციო, სარეკონსტრუქციო, სარეაბილიტაციო ჩარევები ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციაში და მათი ანალიზი. მათ გარდა, არსებობს 7 ძირითადი მიმართულების ამსახველი კურსები, რომელიბიც დაჯგუფებულია ხელოვნების ნიმუშტა მასალის სპეციფიკის მიხედვით და თითოეულ მიმართულებაში სედის როგორც თეორიული, ასევე პრიქატიკული კურსები (მაგ., ხელოვნების ნიმუშები ხის საფუძველზე (N9 მასალები და ტექნოლოგია (თეორია), N10 დაზიანებები და კვლევის მეთოდები (თეორია), N11 მასალები და ტექნოლოგია (პრაქტ). N12 საკონსერვაციო-სარესტავრაციო ჩარევის საფუძვლები (პრაქტ), N13 პრაქტიკული კვლევა-კონსერვაცია). ანალოგიურადაა აწყობილი დანარჩენი მიმართულებები (მაგ., მცირე ხელოვნების ნიმუშები - ლითონი (N26 ტექნოლოგია, დაზიანებები და კვლევის მეთოდები (თეორია) I, N27 ტექნოლოგია, დაზიანებები და კვლევის მეთოდები (თეორია) II, N28 პრაქტიკული კვლევა-კონსერვაცია I, N29 პრაქტიკული კვლევა-კონსერვაცია II). თითოეული მიმართულების სასწავლო კურსის შინაარსი მისდევს მათივე საგნის შედეგებს, რომლებიც გვაძლევს პროგრამის საერთო შედეგებს. მაგ., N23 - ტექნოლოგია, დაზიანებები და კვლევის მეთოდები (თეორია) I (მინა, კერამიკა), რომლის შინაარსიც მიყვება მინის ქიმიური და ფიზიკური თვისებების, დამზადების ტექნოლოგიის, ძირითადი და დამხმარე კომპონენტების გაცნობას, მინის წარმოების უძველესი კერების, საქართველოში მინის წაროების, უძველესი ტექნოლოგიური სქემების, თანამედროვე ტრადიციების გაცნობას, მინის ნაკეთობების დაზიანების ტიპების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და დაიგნოსტიკის მეთოდების გაცნობას. ტექნოლოგიის, დაზიანებებისა და მათი კვლევის მეთოდების შესწავლის შემდგომ ხდება საკონსერვაციო-სარესტავარცაიო ჩარევის საფუძვლების შესწავლა და შემდგომ პრაქტიკული კვლევა-კონსერვაციის გავლა. მაგ., საგანი N33 – საკონსერვაციო-სარესტავრაციო ჩარევის საფუძველი (კედლის მხატვრობა), რომელიც შინაარსის მიხედვით ასწავლის ჩარევის საბაზისო ტიპებს. საგანი N34 – პრაქტიკული კვლევა-კონსერვაცია (კედლის მხატვრობა) – ფოკუსირდება ძეგლის პრაქტიკულ კვლევებზე, რომელსაც ეთმობა 7 ლექცია, ხოლო დანარჩენი 8 ლექცია ეთმობა საბაზისო საკონესერვაციო–სარესტავრაციო ფიზიკურ სამუშაოებს.

კონსერვაცია/რესტავრაციის საერთო საგნები (N1-8, 38, 39, 40), საბუნებისმეტყველო საგნები (N42-49) და ხელოვნების ისტორიის საგნები (N50-57), რომლებიც უმეტესად თეორიული საგნებია, 2.5 კრედიტიანებია. აქედან ყველა მათგანს განაწილებული აქვს თითქმის თანაბარი საკონტაქტო (32 საათი) და არასაკონტაქტო (30.5 საათი) საათები. რამდენიმე სასწავლო კურსში დიდი მოცულობის პრაქტიკული მუშაობის საჭიროებამ გამოიწვია საკონტაქტო საათების გაზრდა. მაგ., N11 საგანი – მასალები და ტექნოლოგია (პრაქტიკა) (ხის საფუძველი).

სასწავლო რესურსების ასპექტში პროგრამის სალექციო კურსებზე გამოიყენება როგორც მსოფლიოში აღიარებული ძირითადი, სახელმძღვანელოს სახის ნაშრომები (მაგ., ბერნარ მ. ფილდენი, იუკა იოკილეტო: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო, ხუროთმოძღვრების კონსერვაცია: პრინციპები და მოსაზრებები, ICOM-ის წესდება-----ICOM-ის სამუზეუმო პროფესიული ეთიკის კოდექსი), ასევე ქარტიები, დოქტრინები და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები. კვლევა-დოკუმენტაციისა და მონიტოტინგის საგნებისათვის მითითებულია ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურა როგორიცაა:მაგ., Lorinda Wong, Documentation: Objectives, levels and the recording process, Conserving the painted past: developing approaches to wall painting conservation, საბუნებისმეტყველო საგნების შესასწავლად გამოყენებული სხვადასხვა სახის ფუნდამენტური ნაშრომები (ს. ადამია. ქიმია. გაღრმავებული კურსი, მესამე გამოცემა, საქართველოს მაცნე, V. Horie. Materials for conservation. Organic consolidants, adhesives and coatings, Torraca G. Lectures on Materials Science for Architectural Conservation,) და სხვ. დაწესებულებაში არსებობს რესურსები თსსა-ს ცენტრალური ბიბლიოთეკაში და ასევე რესტავრაციის ფაკულტეტის ბიბლოთეკაში წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურის და ელექტრონული სასწავლო მასალის სახით. სტუდენტებს აქვთ წვდომა შემდეგ ბაზებზე: Elsevier - Scopus (https://www.scopus.com/home.uri) , Elsevier - ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/), Education Resources Information Center (https://eric.ed.gov/), Social Science Research Network (https://www.ssrn.com/index.cfm/en/), Bielefeld Academic Search Engine (https://www.base-search.net/), Jstor (https://www.jstor.org/), EIFL (https://eifl.remotexs.xyz/user/login), JURN (http://www.jurn.org), Academic Research Sharing Platform ACADEMIA (https://www.academia.edu/), Perlego (www.perlego.com)

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მაინც აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი. ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი (მაგ., პრაქტიკული კვლევა-კონსერვაცია (ხის საფუძველი); მასალები და ტექნოლოგია (თეორია, ტილოს საფუძველი), ნამუშევრის დაზიანებები და კვლევის მეთოდები (ტილოს საფუძველი)); გვხვდება მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურა (მასალები და ტექნოლოგია (პრაქტიკული, ტილოს საფუძვლები); საკონსერვაციო-სარესტავრაციო ჩარევის საფუძველი (ტილოს

საფუძველი); პრაქტიკული კვლევა-კონსერვაცია (ტილოს საფუძველი)), ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს (მაგ., კულტუროლოგია)ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA)**

პროგრამა 2 შედგება საერთო სპეციალობისა და საფაკულტეტო საგნებისაგან (კონსერვაციის ფილოსოფია, ხელოვნების ნიმუშების კვლევის მეთოდები კონსერვაციაში, ხელოვნების ნიმუშების კვლევის მეთოდები კონსერვაციაში; საკონსერვაციო მასალების ქიმია) და მისი შემაგენელი სამი მოდულის კურსებისაგან. თითოეული მოგულის საგნებს სამნაწილიანი სტრუქტურული პრინციპი გააჩნია, რომელშიც, შესაბამისად, წარმოდგენილი სამი მთავარი კომპონენტი: 1. ნიმუშის ტექნიკა-ტექნოლოგია, 2. მისი კონსერვაციის თეორია და 3. ამისათვის აუცილებელი პრაქტიკა.

1: ხისა და ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშები (ტექნიკა-ტექნოლოგია (ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა-ტექნოლოგია); კონსერვაცია - თეორია (ხის ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (თეორია 1); ხის ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (თეორია 1); ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (თეორია 1); ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (თეორია 2)); კონსერვაცია - პრაქტიკა (ტილოში ინტეგრირებული ტექნიკა-ტექნოლოგიით) (ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (პრაქტიკა 1); ხის საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია (პრაქტიკა 2); ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა-ტექნოლოგია და კონსერვაცია (პრაქტიკა 1); ტილოს საფუძველზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების ტექნიკა-ტექნოლოგია და კონსერვაცია (პრაქტიკა 2);

2: მცირე ხელოვნების ნიმუშები: მინა, კერამიკა; ლითონი (ტექნიკა-ტექნოლოგია (მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა) ტექნიკა-ტექნოლოგია; მცირე ხელოვნების ნიმუშების (ლითონი) ტექნიკა-ტექნოლოგია; კონსერვაცია - თეორია (მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა) კონსერვაცია (თეორია 1); მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა) კონსერვაცია (თეორია 2); მცირე ხელოვნების ნიმუშების (ლითონი) კონსერვაცია (თეორია 1); მცირე ხელოვნების ნიმუშების (ლითონი) კონსერვაცია (თეორია 2)); კონსერვაცია - პრაქტიკა (მცირე

ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა) კონსერვაცია (პრაქტიკა 1); მცირე ხელოვნების ნიმუშების (მინა, კერამიკა) კონსერვაცია (პრაქტიკა 2); მცირე ხელოვნების ნიმუშების (ლითონი) კონსერვაცია (პრაქტიკა 1); მცირე ხელოვნების ნიმუშების (ლითონი) კონსერვაცია (პრაქტიკა 2)).

3: კედლის მხატვრობა; ქვა და სხვა სამშენებლო მასალები (ტექნიკა-ტექნოლოგია (კედლის მხატვრობის ტექნიკა-ტექნოლოგია; ქვა და სხვა სამშენებლო მასალების ტექნიკა-ტექნოლოგია); კონსერვაცია - თეორია (კედლის მხატვრობის კონსერვაცია (თეორია 1); კედლის მხატვრობის კონსერვაცია (თეორია 2); ქვა და სხვა სამშენებლო მასალების კონსერვაცია (თეორია 1); ქვა და სხვა სამშენებლო მასალების კონსერვაცია (თეორია 2); კონსერვაცია - პრაქტიკა (კედლის მხატვრობის კონსერვაცია (პრაქტიკა 1); 7.1.2 კედლის მხატვრობის კონსერვაცია (პრაქტიკა 2); ქვა და სხვა სამშენებლო მასალების კონსერვაცია (პრაქტიკა 1); ქვა და სხვა სამშენებლო მასალების კონსერვაცია (პრაქტიკა 2)).

მაგალითად, თითოეულ სასწავლო კურსში შემავალი საგნების შინაარსი მისდევს მათივე შედეგებს, რომლებიც გვაძლევს პროგრამის საერთო შედეგებს. მაგ., მოდული 3, ტექნიკა-ტექნოლოგიის კურსი (საგანი N 5.2 ქვა და სხვა სამშენებლო მასალების ტექნიკა-ტექნოლოგია) – შინაარსი იწყება სამშენებლო მასალების ზოგადი რაობისა და გეოლოგიური დისციპლინების გაცნობით, გრძელდება სამშენებლო მასალის წარმოშობაზე ინფორმაციის მიცემით (ქანების წარმოშობა, შედგენილობა, კლასიფიკაცია და სხვ.); სტუდენტებს, სამშენებლო ქვების გარდა, ასევე ეცნობათ ხელოვნების ნიმუშების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი – მჭიდა მასალები (სხვადასხვა ტიპის), მათი დამზადების ტექნოლოგია და სხვ. მოცემული კურსი ითვალისწინებს მაგისტრატურის საფეხურს და სტუდენტებს ყველა ამ ინფორმაციას აძლევს გაღრმავებული სახით.ტექნოლოგიის, დაზიანებებისა და მათი კვლევის მეთოდების შესწავლის შემდგომ ხდება საკონსერვაციო-სარესტავარცაიო ჩარევის თეორიის გაღრმავებულად შესწავლა და შემდგომ პრაქტიკული კვლევა-კონსერვაციის გავლა. მაგ., მოდულში 3, სასწავლო კურსი - კონსერვაცია - თეორია (საგნები N; 6.1.1 კედლის მხატვრობის კონსერვაცია (თეორია 1); 6.1.2 კედლის მხატვრობის კონსერვაცია (თეორია 2) შინაარსის მიხევდით ასწავლის ჩარევის ტიპებს გაღრმავებულად, ხოლო კურსი, კონსერვაცია - პრაქტიკა (მაგ. საგნები N 7.1.1 კედლის მხატვრობის კონსერვაცია (პრაქტიკა 1) 7.1.2 კედლის მხატვრობის კონსერვაცია (პრაქტიკა 2)) ფოკუსირდება ძეგლის პრაქტიკულ კვლევებზე და ასევე, საკონესერვაციო–სარესტავრაციო ფიზიკურ სამუშაოებზე.

საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტებისა და ასევე, საკონტაქტო და არასაკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების რაოდენობა სტანდარტის კომპონენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს

დასახულ მიზნებსა და შედეგებზე გასვლას, შეესაბამება სასწავლო დაწესებულების მისიას და მიზნებს, სტანდარტის მოთხოვნებს.

სასწავლო ლიტერატურა წარმოდგენილია ქარტიებისა და საერთაშორისო სტანდარტების დოკუმენტებით, რომლებიც ქართულადაა ნათარგმნი; ასევე ნათარგმნია საკონსერვაციო სფეროსათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც გამოყენებულია სასწავლო კურსებში. სხვ. დაწესებულებაში არსებობს რესურსები თსსა-ს ცენტრალური ბიბლიოთეკაში და ასევე რესტავრაციის ფაკულტეტის ბიბლოთეკაში წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურის და ელექტრონული სასწავლო მასალის სახით. სტუდენტებს აქვთ წვდომა შემდეგ ბაზებზე: Elsevier - Scopus (https://www.scopus.com/home.uri) , Elsevier - ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/), Education Resources Information Center (https://eric.ed.gov/), Social Science Research Network (https://www.ssrn.com/index.cfm/en/), Bielefeld Academic Search Engine (https://www.base-search.net/), Jstor (https://www.jstor.org/), EIFL (https://eifl.remotexs.xyz/user/login), JURN (http://www.jurn.org), Academic Research Sharing Platform ACADEMIA (https://www.academia.edu/), Perlego (www.perlego.com).

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აქაც, ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მაინც აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი. ზოგიერთ მათგანში უმეტესად რუსულენოვანი ლიტერატურაა მითითებული (კედლის მხატვრობის კონსერვაცია (თეორია 2)), ან იგრძნობა ლიტერატურის ნაკლებობა. ვფიქრობთ, ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, ასევე რუსულენოვანი ლიტერატურის დამატებით მხოლოდ სასწავლო მასალად გამოყენება (იმის გათვალისწინებით, რომ ეს ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია) უფრო დახვეწდა ზოგიერთი სილაბუსის ამ მხარეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საბაკალავრო პროგრამა თანდართული სილაბუსებით; სამაგისტრო პროგრამა თანდართული სილაბუსებით; სწავლის შედეგების რუკა; ხელშეკრულებები საბიბლიოთეკო ბაზებთან

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ორივე პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს

ლიტერატურის ჩამონათვალი; ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ორივე პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი; ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ორივე პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი; ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის

გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.

**რჩევ(ებ)ი:**

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში შემავალ პროგრამებზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის პროგრამებში სწავლის გაგრძელების მოსურნე პირთა პროგრამებში ჩართვას. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს, ხოლო სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ხარისხის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული დიპლომის მფლობელი პირი, რომელიც ჩაირიცხება ამ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით - საერთო სამაგისტრო გამოცდის (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა), შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ინგლისური ენა) და სპეციალობაში ზეპირი გასაუბრების შემდეგ.

პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელთან პირადი კონსულტაციების საფუძველზე.

## აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია BA)

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლის თანახმად საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს.

წარმოდგენილ პროგრამაზე განსაზღვრული მიღების წინაპირობა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელთან პირადი კონსულტაციების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებში, თვითშეფასებაში მოცემულია სხვა მეთოდები, როგორიცაა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

## აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA)

წარმოდგენილ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. კერძოდ, პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ხარისხის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული დიპლომის მფლობელი პირი, რომელიც ჩაირიცხება ამ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით - საერთო სამაგისტრო გამოცდის (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა), შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ინგლისური ენა) და სპეციალობაში ზეპირი გასაუბრების შემდეგ. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელთან პირადი კონსულტაციების საფუძველზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

 საგანმანათლებლო პროგრამა;

 უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**……………**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

| კომპონენტი 2.1 პროგრამაზე | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაშვების წინაპირობები | | | | |
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

